



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახარაძე გიორგი ალექსანდრეს ძე

მახარაძე გიორგი ალექსანდრეს ძე (დ. 26. IX. 1948, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2003). დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტი (1971) და იმავე წელს დაიწყო მუშაობა იქვე ანალიზური ქიმიის კათედრაზე. იყო ანალიზური ქიმიისა და გარემოს ქიმიის კათედრის ასისტენტი (1979–84), დოცენტი (1984–2003), პროფესორი (2003-იდან). ხელმძღვანელობდა საქართვე. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტში დისტანციური სწავლების ქიმიის მიმართულებას (2007–10), არის თსუ-ის მონვეული პროფესორი (2012-იდან). მ-ის სამეცნ. გამოკვლევები ეხება ანალიზური ქიმიისა და გარემოს ქიმიის სფეროს. საქართველოში მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბუნებრივ წყლებში მძიმე ლითონების მიგრაციის ფორმებისა და მძიმე ლითონების ბუნებრივ მაკრომოლეკულებთან (ფულმომჟავებთან და ჰუმინის მჟავებთან) კომპლექსნარმოქმნის პროცესების შესწავლა. მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

მ-ს მიღებული აქვს ეუთოს (OSCE), NATO-ს, სოროსის ფონდის საერთაშ. ეკოლოგიური ასოციაციის (YSR), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF), მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ცენტრის (ISTC) გრანტები. არის საერთაშ. სამეცნ. ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის, აგრეთვე წყლის საერთაშ. ასოციაციის წევრი.

თბზ.: ფულმომჟავები, თბ., 2009; Method of Calculation of Stability Constants of Fulvic Complexes on the Example of Copper. Journal of Chemistry and Chemical Engineering, USA, 2014, v. 8 (თანაავტ.: T. Makharadze); New Version of Calculation of Stability Constant of Metal-fulvate Complexes on the Example of Zinc Fulvate. International Journal of Environmental Science and Technology, USA, 2018, v. 15; (თანაავტ.: Supatashvili G., Makharadze T.).
